

## საქართველოს სტანდარტი

---

სურსათისა და ცხოველთა საკვების მიკრობიოლოგია -  $\beta$ -გლუკურონიდაზა-  
დადებითი *Escherichia coli*-ს რაოდენობის განსაზღვრის ჰორიზონტალური  
მეთოდი

ნაწილი 2 :

კოლონიების დათვლის მეთოდი 44°C ტემპურატურაზე

5-ბრომ-4-ქლორ-3-ინდოლილ- $\beta$ -D გლუკურონიდის გამოყენებით

საინფორმაციო მონაცემები

1 შემოტანილია: სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის მიერ საქართველოს სტანდარტიზაციის 2015 წლის პროგრამის შესაბამისად.

განხილულია სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის ტკ 3 „სასურსათო პროდუქტები“-ს მიერ.

2 მიღებულია და დაშვებულია საქართველოს ტერიტორიაზე გამოქმედოდ: სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2015 წლის 21 დეკემბრის № 96 განკარგულებით სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის ტკ 3 „სასურსათო პროდუქტები“ გადაწყვეტილების საფუძველზე.

3 პირველად

4 წინამდებარე სტანდარტი წარმოადგენს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ისო) სტანდარტის ისო 16649-2-2001 „სურსათისა და ცხოველთა საკვების მიკრობიოლოგია – β-გლუკურონიდაზა-დადებითი *Escherichia coli*-ს რაოდენობის განსაზღვრის ჰორიზონტალური მეთოდი - ნაწილი 2: კოლონიების დათვლის მეთოდი 44°C ტემპერატურაზე 5-ბრომ-4-ქლორ-3-ინდოლილ-β -D გლუკურონიდის გამოყენებით” იდენტურ თარგმნას.

5 რეგისტრირებულია: სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს საქართველოს სტანდარტების რეესტრში 2015 წლის 21 დეკემბერი. რეგისტრაციის ნომერი: № 268-1.1-00296

II

დაუშვებელია წინამდებარე სტანდარტის სრული ან ნაწილობრივი კვლავწარმოება, ტირაჟირება და გავრცელება სსიპ-საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ნებართვის გარეშე

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

**წინასიტყვაობა**

ისო (სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია) სახელმწიფო სტანდარტების ორგანოების (ისო-ს წევრი-კომიტეტების) მსოფლიო ფედერაციაა. საერთაშორისო სტანდარტების მომზადება, ჩვეულებრივ, ისო-ს ტექნიკური კომიტეტების მეშვეობით ხორციელდება. თითოეულ წევრ-კომიტეტს, რომელიც დაინტერესებულია საკითხებით, რისთვისაც შეიქმნა ტექნიკური კომიტეტი, უფლება აქვს წარმოდგენილი იყოს ამ კომიტეტში. საერთაშორისო ორგანიზაციები სამთავრობოც და არასამთავრობოც ისო-სთან კავშირში აგრეთვე მონაწილეობენ აღნიშნულ სამუშაოებში. ისო მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო ელექტროტექნიკურ კომისიასთან (იეკ-თან) ელექტროტექნიკური სტანდარტიზაციის ყველა საკითხზე.

საერთაშორისო სტანდარტების პროექტების შედგენა ხდება ისო/იეკ-ის დირექტივების მე-3 ნაწილში მოცემული წესების შესაბამისად.

ტექნიკური კომიტეტების მიერ მიღებული საერთაშორისო სტანდარტების პროექტები ვრცელდება წევრ-კომიტეტებს შორის კენჭისყრისთვის. მისი, როგორც საერთაშორისო სტანდარტის გამოქვეყნებისთვის, საჭიროა კენჭისყრაში მონაწილე წევრი-კომიტეტების, სულ მცირე, 75%-ის მხარდაჭერა.

ყურადღებას იქცევს ალბათობა იმისა, რომ ისო 16649-ის წინამდებარე ნაწილის ზოგიერთი ელემენტი შესაძლებელია საავტორო უფლებების საგანი იყოს. ისო არ იქნება პასუხისმგებელი რომელიმე ან ყველა მსგავსი საავტორო უფლების იდენტიფიცირებაზე.

საერთაშორისო სტანდარტი ისო 16649-2 მომზადდა ტექნიკური კომიტეტის მიერ – ისო/ტკ 34, კვების პროდუქტები, ქვეკომიტეტი ქკ 9, მიკრობიოლოგია.

ისო 16649 შედგება შემდეგი ნაწილებისგან (ზოგადი სათაურით „სურსათისა და ცხოველთა საკვების მიკრობიოლოგია β-გლუკურონიდაზა-დადებითი *Escherichia coli*-ს რაოდენობის განსაზღვრის ჰორიზონტალური მეთოდი

- ნაწილი 1: კოლონიების დათვლის მეთოდი 44°C ტემპერატურაზე მემბრანებისა და 5-ბრომ-4-ქლორ-3-ინდოლილ-β-D-გლუკურონიდის გამოყენებით;
- ნაწილი 2: კოლონიების დათვლის მეთოდი 44°C ტემპერატურაზე 5-ბრომ-4-ქლორ-3-ინდოლილ-β-D-გლუკურონიდის გამოყენებით;
- ნაწილი 3: გამოვლენა და უალბათესი რიცხვის მეთოდი 5-ბრომ-4-ქლორ-3-ინდოლილ-β-D-გლუკურონიდის გამოყენებით

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.

## შესავალი

კვების პროდუქტებისა და ცხოველთა საკვების დიდი მრავალფეროვნების გამო ჰორიზონტალური მეთოდი შესაძლოა ყველა დეტალში არ იყოს შესაფერისი ცალკეული პროდუქტისთვის. ამ შემთხვევაში ამ პროდუქტებისთვის სპეციალური განსხვავებული მეთოდები შეიძლება იქნეს გამოყენებული, თუკი ნამდვილად აუცილებელია და დასაბუთებულია ტექნიკური მიზეზებით. თუმცა, რამდენადაც შესაძლებელია, მთელი ძალისხმევა წინამდებარე ჰორიზონტალური მეთოდის გამოყენებისკენ უნდა იყოს მიმართული.

როდესაც შემდგომში განიხილება ისო 16649-ის წინამდებარე ნაწილი, მხედველობაში მიიღება იმ დროისთვის არსებული მთელი ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა მოცულობით სრულდებოდა მოცემული ჰორიზონტალური მეთოდი და აგრეთვე ამ მეთოდიდან გადახვევების მიზეზები ცალკეული პროდუქტების შემთხვევაში.

ტესტირების მეთოდების ჰარმონიზაცია ერთბაშად ვერ მოხდება და პროდუქტების ცალკეული ჯგუფისთვის შეიძლება აგრეთვე არსებობდეს საერთაშორისო და/ან სახელმწიფო სტანდარტები, რომლებიც წინამდებარე ჰორიზონტალურ მეთოდს არ შეესაბამება. როდესაც ასეთი სტანდარტები გადაიხედება, იმედია, ისინი შეიცვლება, რათა შესაბამისობაში მოვიდეს წინამდებარე საერთაშორისო სტანდარტთან, ისე რომ, საბოლოოდ, წინამდებარე ჰორიზონტალური მეთოდიდან მხოლოდ ის გადახვევები დარჩება, რომლებიც კარგად დასაბუთებული ტექნიკური მიზეზების გამო იქნება აუცილებელი.

წინამდებარე საერთაშორისო სტანდარტი აღწერს  $\beta$ -გლუკურონიდაზა - დადებითი *Escherichia coli*-ს რაოდენობრივი განსაზღვრის ორ ჰორიზონტალურ მეთოდს(ისო 16649-1 და 16649-2).

მომხმარებელს შეუძლია აირჩიოს ან ისო 16649-1, ან 16649-2. ორივე ნაწილი ზოგადი გამოყენებისთვისაა. თუმცა, ისო 16649-1 გამოყენებული უნდა იქნეს საკვები პროდუქტებისათვის, რომლებიც შეიძლება შეიცავდეს ძლიერ სტრესირებულ უჯრედებს.

## IV

დაუშვებელია წინამდებარე სტანდარტის სრული ან ნაწილობრივი კვლავწარმოება, ტირაჟირება და გავრცელება სსიპ-საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ნებართვის გარეშე

საინფორმაციო ნაწილი. სრული ტექსტის სანახავად შეიძინეთ სტანდარტი.